ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
შუახევის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
CITY HALL OF SHUAKHEVI MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **100-1002310291**
თარიღი: **12/04/2023**

ადრესატი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭო
მისამართი: ლუკა ასათიანის ქუჩა 37

აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს

ბატონ ილია ვერძაძეს

ბატონო ილია,

თქვენი, მიმდინარე წლის 15 მარტის N09-02-12-ვ/138 წერილთან დაკავშირებით, რომელიც ეხება მოქალაქე გვანცა ვარშანიძის პეტიციის ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში არაფორმალური განათლების მულტიფუნქციური ცენტრების ამოქმედებისა და ადგილობრივი მოსახლეობისათვის დამატებითი სოციალური სივრცეების შექმნის შესახებ“ მუნიციპალიტეტის მოსაზრების წარმოდგენას პეტიციასთან დაკავშირებით, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ახალგაზრდებში არაფორმალური განათლების ხელშეწყობა და იმ სერვისის შეთავაზება, რომელიც მათ საჭიროებებზე იქნება მორგებული.

2019 წლიდან მერის ბრძანებით შეიქმნა და დღემდე მოქმედებს „შუახევის კინომოყვარულთა კლუბი“, რომლის ფარგლებშიც პერიოდულად იმართება ფილმის ჩვენება/განხილვა. მიმდინარე წელს, არაუგვიანეს ივნისის თვეში, დასრულდება ა(ა)იპ „შუახევის ხელოვნებისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სკოლის“ მშენებლობა, სადაც შენობის პირველი სართული გამოყენებული იქნება არაფორმალური განათლების შეხვედრების სივრცედ, რაც ასევე მოიაზრებს კინოჩვენებებს. შეძენილი გვაქვს შესაბამისი ინვენტარი, გახმოვანების აპარატურა, ეკრანი, რომელიც საჭირო იქნება მსგავსი შეხვედრების ორგანიზებისთვის.

დამატებით გაცნობებთ, რომ მუნიციპალიტეტის მერია გამოთქვამს მზაობას ითანამშრომლოს აღნიშნული პეტიციის ავტორთან, რომელიც ხელს შეუწყობს

აღნიშნული სივრცის უფრო საინტერესოდ გამოყენებას.

პატივისცემით,

ომარ ტაკიძე

შუახევის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

6300 დაბა შუახევი
თამარ მეფის ქ.№ 30

ტელ.: (0424)26 00 00
ელ.ფოსტა: SHUAKHEVIGG@GMAIL.COM